

**ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.**

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბესიკ გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 212690471) დაფუძნებულია 2002 წლის 10 ივნისს საქართველოში, (რეგისტრირებული ქალაქ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, რეგისტრაციის N12/5/გ-1265) დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი ვაჟა ფშაველას ქუჩა N1. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბავშვო ატრაქციონებით მომსახურება. დამატებით საქმიანობებს წარმოადგენს სუვენირების რეალიზაცია და ფართების გაქირავება. კომპანიის დამფუძნებელი და 100%-ის წილის მფლობელი არის თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი (საიდენტიფიკაციო კოდი 212721170), ხოლო წილის მმართველი არის შპს „ქუთაისი 2006“ (საიდენტიფიკაციო კოდი 212880168) თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტთან მართვის უფლებით გადაცემისა და მისი რეაბილიტაციის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად.

ბუღალტრული აღრიცხვისათვის საწარმო იყენებს ბუღალტრულ პროგრამას „ორისი“. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 14 -ს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს სტანდარტი) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3. საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ოპერაციები ნაწარმოებია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

4.1 ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენება

კომპანიამ 2018 წლიდან დაიწყო ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

4.2 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა: (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება; (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

4.3 ფულადისახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში ეროვნულ ვალუტაში.

4.4 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, გასაყიდ ფასს შორის.

4.5 სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული

ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც

არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.

4.6 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად; ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4.7 სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

4.8 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ. ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება საშემოსავლო გადასახადი, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ.

5. განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალური ანგარიშგების საქმიანობის შედეგების მიხედვით 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შენიშვნა N1

ნეტო ამონაგები	300505
საქონლის გაყიდვიდან	3198
მომსახურების გაწევიდან	117930
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0
სხვა	179377

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი მოიცავს სუვენირების რეალიზაციას, რომელიც შეადგენს 1390 ლარს, მომსახურების გაწევიდან შემოსავალი მოიცავს საბავშვო ატრაქციონების მომსახურებას 117930 ლარს და სხვა შემოსავალი მოიცავს იჯარიდან მიღებულ შემოსავალს 181185 ლარს. სულ ამონაგები საანგარიშგებო პერიოდში ჯამში შეადგენს 300505 ლარს.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-2245
საწყისი მარაგები	43
მარაგების შესყიდვა	2237
გადამუშავების დანახარჯები	0
საბოლოო მარაგები	35

საწყისი მარაგები მოიცავს სუვენირების ნაშთს 43 ლარს, გამაგრირებული სასმელების შეძენა საანგარიშგებო პერიოდში შეადგენს 2237 ლარს, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება -2245 ლარს, საბოლოო მარაგების ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის შეადგენს 35 ლარს.

დასაქმებულთა ანაზღაურება	92199
ცვეთა და ამორტიზაცია	253653
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	168090
სულ საოპერაციო ხარჯები	513942

დასაქმებულთა ანაზღაურების ხარჯი შეადგენს 92199 ლარს, ცვეთა და ამორტიზაცია 253653 ლარს, ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი 168090 ლარს. სულ საოპერაციო ხარჯი საანგარიშგებო პერიოდში შეადგენს 513942 ლარს.

დასახელება	2021წ
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	-215682
მოგების გადასახადი	0
მოგება /ზარალი	-215682

მთლიანმა სრულმა მოგება/ზარალმა 2021 წელს შეადგინა -215682 ლარი, რომელიც გადატანილი იქნა გაუნაწილებელ მოგებაში.

შპს „ ბესიკ გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი “

საიდ/კოდი 212690471

ინდივიდუალური ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ

საქმიანობის შედეგები	შენიშვნები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები		300505	184963
საქონლის გაყიდვიდან		3198	456
მომსახურების გაწევიდან		117930	59409
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა		179377	125098
გაყიდვების თვითღირებულება		-2245	-414
საწყისი მარაგები			0
მარაგების შესყიდვა			0
გადამუშავების დანახარჯები			0
საბოლოო მარაგები			0
საერთო მოგება		298260	184549
სხვა საოპერაციო შემოსავალი			0
დასაქმებულთა ანაზღაურება		-92199	-107213
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-253653	-263893
საპროცენტო შემოსავალი			0
საპროცენტო ხარჯი			0
იჯარის ხარჯი			0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		168090	-155161
სულ საოპერაციო ხარჯები		-513942	-526267
საოპერაციო მოგება		-215682	-341718
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან			0
მიღებული დივიდენდები			0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)			0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		-215682	-341718
მოგების გადასახადის ხარჯი			0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		-215682	-341718

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)			0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		-215682	-341718
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		3730262	4075780
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')			0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-16068	-3800
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		3498512	3730262

6. განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალური ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

შენიშვნა N1 - ფული და ფულადი ეკვივალენტები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2021 წელი	2455
1	სალარო	2398
2	ბანკი	57

ფული და ფულის ეკვივალენტები კომპანიაში განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში და სალარო მეურნეობაში. კომპანიას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ვალუტაში ისე უცხოურ ვალუტაში. წლის დასაწყისში ნაშთი ფული და ფულის ეკვივალენტებზე იყო 18113 ლარი, წლის განმავლობაში შემოსულია 519402 ლარი, გასულია 535060 ლარი და ნაშთმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 2455 ლარი.

შენიშვნა N 2 - სავაჭრო მოთხოვნები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2021 წელი	23062
1	მოთხოვნები მიწოდებიდან	23062

სავაჭრო მოთხოვნები წლის დასაწყისისთვის იყო 12586 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა მოთხოვნები 360668 ლარის, ჩაირიცხა მოთხოვნების დასაფარავად 350192 ლარი და დარჩა მისაღები 23062 ლარი.

შენიშვნა N3 -მარაგები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2021 წელი	35
---	--------------------------------	----

საწყისი მარაგები მოიცავს გამაგრილებელი სასმელების ნაშთს 43 ლარს, გამაგრილებელი სასმელების შეძენა საანგარიშგებო პერიოდში შეადგენს 2237 ლარს, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება -2245 ლარს, საბოლოო მარაგების ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის შეადგენს 35 ლარს.

შენიშვნა N4 -ძირითადი საშუალებები

დასახელება	1	2	3	4	სულ
ბალანსი 31 დეკემბერი 2020 წელი	206783	3610911	43023	2302	3863019
შემოსვლა					
გასვლა					
ცვეთა		247651	4486	1516	253653
ბალანსი 31 დეკემბერი 2021 წელი	206783	3363260	38536	786	3609365

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ცხრილში, სადაც ჯგუფებად არის გაერთიანებული ძირითადი საშუალებები:

- 1 ჯგუფი - მიწა.
2. ჯგუფი - შენობები და ნაგებობები.
3. ჯგუფი - მანქანა-დანადგარები.
4. ჯგუფი- ოფისის არქიტექტურა და ავეჯი.

შენიშვნა N 5 - სავაჭრო ვალდებულებები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2021 წელი	9953
1	სავაჭრო ვალდებულებები	9953

სავაჭრო ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში იყო 3402 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა 111980 ლარი, გასტუმრებული იქნა 105429 ლარი, ხოლო სავაჭრო ვალდებულების ნაშთმა საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის შეადგინა 9953 ლარი.

შენიშვნა N6 - ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2021 წელი	45170
1	ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	45170

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ წლის დასაწყისში იყო 45620 ლარი და წლის ბოლოსათვის დარჩა 45170 ლარი.

შენიშვნა N7- საგადასახადო ვალდებულებები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2021 წელი	81011
1	სულ საგადასახადო ვალდებულებები	81011

საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში საგადასახადო ვალდებულებო იყო 111833 ლარი, წლის ბოლოს საწარმოს ერიცხება საგადასახადო ვალდებულებები 81011 ლარი.

შენიშვნა N8 - კაპიტალი

N	დასახელება	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	სხვა რეზერვები	ჯამურად
1	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	-3536074	430930	6835406	3730262
2	საანგარიშო პერიოდის მოგება	-215682			-215682
3	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა			-16068	-16068
4	ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-3751756	430930	6819338	3498512

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო წლის დასაწყისში შეადგენს 3730262 ლარს, რომელიც შემცირდა საანგარიშგებო პერიოდის ზარალით - 215682 ლარით და რეზერვებით -16068 ლარით, შესაბამისად საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო წლის დასასრულისათვის შეადგენს 3498512 ლარს.

შპს „ბესიკ გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი“

საიდ/კოდი 212690471

ინდივიდუალური ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნები	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	2455	18113	5425
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	23062	12586	34041
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები			0	0
მარაგები		35	43	255
მზა პროდუქცია			0	0
სხვა	3	35	43	255
საინვესტიციო ქონება			0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები			0	0
ბიოლოგიური აქტივები			0	0
თვითღირებულების მოდელით			0	0
გადაფასების მოდელით			0	0
გუდვილი			0	0
სხვა არამატერიალური აქტივები			0	0
ძირითადი საშუალებები	4	3609365	3863019	4126911
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები			0	0
სულ აქტივები		3634917	3893761	41266632
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება			0	0
სავაჭრო ვალდებულებები	5	9953	4712	7887
ანარიცხები			0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	6	45170	45620	21705
საგადასახადო ვალდებულებები	7	81011	111833	61260
გამოუმუშავებელი შემოსავალი			0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			0	0
მიღებული გრანტები			0	0
სხვა ვალდებულებები		271	1334	0
სულ ვალდებულებები		136405	163499	90852
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		430930	430930	430930

საემისიო შემოსავალი		0	0	
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-3751756	-3536074	-3194356
გადაფასების რეზერვი			0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		6819338	6835406	6839206
სულ საკუთარი კაპიტალი	8	3498512	3730262	4075780
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3634917	3893761	4166632
სულ მოკლევადიანი აქტივები		25516	27862	39721
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		55395	97170	89543

ფულადი სახსრების მოძრაობა 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	2021წ
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-15658
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-15658
სავალუტო კურსის ეფექტი	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	18113
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	2455

